**11**
**აგვისტო**
შაბათი,
1962 წ.
№ 157 (2006)
გამოცემის მე-19 წელი
ფასი 8 კაპ.





ნახ. გ. იაშვილისა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ფიზკულტურელის დღესთან დაკავშირებით და რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება:

1. აბრამოვს ალექსანდრე მიხეილის ძეს — პენსიონერს,
2. კიზირიას ისაკი დიმიტრის ძეს — პენსიონერს,
3. სამსონაძეს ვლადიმერ არისტარხის ძეს — საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს,
4. ფალავანდიშვილს ალექსანდრე გიორგის ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორს,
5. ჭაფარიძეს ალექსანდრა ბიჭიას ასულს — თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის კონსულტანტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**გ. ძოწენიძე,**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წლის 10 აგვისტო.

## ახალ გამარჯვებათა პერიოდი

დღეს ფიზკულტურელის საკავშირო დღეა — — ჩვენი დიდი ქვეყნის, გმირი საბჭოთა ხალხის ერთ-ერთი თვალსაჩინო დღესასწაული, რომელიც კიდევ ერთი, სპორტული გამარჯვებებით გავლილი პერიოდის მიღწევებს აჯამებს და ფართოდ შლის მომავალი წარმატებების, შემდგომი წინსვლის პერსპექტივებს.

მიმდინარე წელს ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული და სპორტული საზოგადოებრიობა, მთელი საბჭოთა ხალხი განსაკუთრებულ ვითარებაში აღნიშნავს ამ დღესასწაულს. ესაა ფიზკულტურელის პირველი საკავშირო დღე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შემდეგ, რომელმაც გაშლილი კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმები დასახა ჩვენი მოღვაწეობის ყველა უბანზე, ყველა სფეროში.

და აი კომუნიზმის მშენებელთა ყრილობის წინასწარდასახულებანი უკვე ღრმად მიიკვლევს გზას ცხოვრებაში. საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ყოფაში. კიდევ უფრო მძლავრი ხდება ჩვენი ქვეყანა, კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდება მისი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ახალი ფაბრიკები, ქარხნები, ელექტროსადგურები, ახალი დაზგები, ლოკომოტივები, ელმავლები, ახალი ტექნიკა სოფლის მეურნეობისათვის, მეცნიერებისა და კულტურის ახალ-ახალი მიღწევები ჩადგა საბჭოთა ადამიანების სამსახურში. ხვავმა, ბარაქამ, შემდგომი აღმავლობის შესანიშნავმა პერსპექტივებმა იმატა საბჭოთა, საკოლმეურნეო სოფელში, რომელიც ღირსეულად მიჰყვება მხარდამხარ ჩვენი საზოგადოების მძლავრი განვითარების, წინსვლის პროცესს.

სწორედ პარტიის ბრძნული და მშობლიური მზრუნველობის შედეგად იქნა მოპოვებული შესანიშნავი გამარჯვებები ფიზკულტურისა და სპორტის სფეროშიც გავლილი პერიოდის მანძილზე. განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მიღწევები მასობრივ-ფიზკულტურულ მოძრაობაში, რომელმაც თავის ორბიტში მოაქცია 30 მილიონი კაცი, ხოლო მალე ეს რიცხვი 50 მილიონსაც გადააჭარბებს. სულ უფრო ფართო გაქანებას იღებს ახალი ნაკადი ჩვენს ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში — საზოგადოებრივი საწყისები, საზოგადოებრივი კადრების ქმედითი საქმიანობა. ბრწყინვალე წარმატებებით აღინიშნა განვლილი პერიოდი საბჭოთა სპორტსმენებისათვისაც. ახალმა მსოფლიო და ევროპის რეკორდებმა გადმოინაცვლა ჩვენს სამშობლოში, ახალი მედლებით, ჩემპიონთა ტიტულებით შეივსო ჩვენი სპორტული მიღწევების აქტივი.

ამ დიდ და ძლევამოსილ მსვლელობაში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურასა და სპორტს. საქართველომ თავისი ფიზკულტურული და სპორტული მაჩვენებლებით უკვე სამჯერ მოიპოვა სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშა. და ამ ფაქტს მიღმა იგულისხმება ქართველი სპორტსმენებისა და ფიზკულტურელების დიდი ხვედრითი წონა ჩვენი დიადი სამშობლოს იმ გამარჯვებებში, რომლებიც მოპოვებულ იქნა საერთაშორისო თუ საკავშირო ასპარეზზე.

გაუმარჯოს ფიზკულტურელის საკავშირო დღეს!

### პამირის უშბა

გუშინ პამირის ექსპედიციის უფროსმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. მარმა ტელეგრაფით შემდეგი სასიხარულო ამბავი გვაცნობა:

„პამირის სიმაღლოვანი ექსპედიციის ერთმა ჯგუფმა სპორტის დამსახურებული ოსტატის მიხეილ ხერგიანის ხელმძღვანელობით 2 აგვისტოს დაამთავრა პირველი ასვლა პამირის უშბაზე. ამ უძნელესი კატეგორიის მწვერვალზე (სიმაღლე 5.505 მეტრი) მიხეილ ხერგიანთან ერთად პირველ ასვლაში მონაწილეობდნენ ჯოკია გუგავა, პერიბე გვარლიანი, შოთა ჩართოლანი, ლაერტ ჩართოლანი, გივი წერედიანი, ავთანდილ ახვლედიანი და თეიმურაზ ნარჩემაშვილი. მწვერვალის დაპყრობა ალპინისტებმა ფიზკულტურელის საკავშირო დღეს მიუძღვნეს“.

